ეკოლოგიური ეთიკა

ადამიანის და ბუნების ურთიერთობა რთული და წინააღმდეგობრივია. ეს ურთიერთობა ისტორიულად იცვლებოდა ადამიანის ევოლუციის პროცესში საზოგადოებრივი ფორმაციის ცვლასთან ერთად. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ადგილი ჰქონდა ლოკალურ და გლობალურ ცვლილებებს, მე -19 საუკუნებამდე ანთროპოგენული ცვლილებები შედარბით შეუმჩნეველი იყო. მე-20 საუკუნეში ტექნიკურ რევოლუციასთან , ეკონომიკურ ზრდასთან და რესურსების არათანაბარ განაწილებასთან დაკავშირებით ეკოლოგიური სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. კაცობრიობა აღმოჩნდა ახალი ურთულესი გლობალური პრობლემების წინაშე , თავი იჩინა ეკოლოგიურმა კრიზისმა , რომელიც განპირობებულია როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური მიზეზებით, ასევე სულიერების ფასეულობების დეგრადაციით. ტექნიკური რევოლუციის და ეკონომიკური (,,ცხოვრების ხარისხი“) ზრდის შედეგებით ეიფორიაში მყოფმა მოსახლეობამ გვიან აღიქვა პლანეტის დეგრადირების და ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება.

მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევარში მომზადდა პირველი გარემოსდაცვითი ,,შეზღუდული პასუხისმგებლობის კონცეფცია“, მოგვიანებით კი ახალი გაფართოებული ,,მაღალი პასუხისმგებლობის კონცეფცია”. სტოკჰოლმში 1972 წელს გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიძღვნილი იყო ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლებისადმი, განხილული იყო ეკონომიკის და ეკოლოგიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხები. გაჩნდა გლობალური პროცესების განვითარების და მისი შედეგების პროგნოზის აუცილებლობა.

რომის კლუბმა, რომელიც განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიოს ინტელექტუალურ ცენტრებს შორის, ერთ-ერთმა პირველმა განიხილა გლობალური პროცესები და მიუთითა ეკოლოგიური კრიზისის მოახლოვებაზე და უსასრულო ეკონომიკური ზრდის შედეგების საშიშროებაზე. რომის კლუბის პირველ მოხსენებაში ,,ზრდის ზღვრები “ (,, The limits of the growth)) დენის მედოუზმა თანაავტორებთან ერთად წარმოადგინეს გლობალური მოდელირების შედეგები, რომლებმაც ცხადყო კატასტროფის გარდაუვალობა განუსაზღვრელი ზრდის თანამედროვე ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში და დასაბუთებული შეშფოთება გამოთქვეს შექმნილი

სიტუაციის გამო. კლუბის დამაარსებელი ცნობილი საზოგადო მოღვაწე აურელიო პეჩეი თავის წიგნში ,,ადამიანური თვისებები“ წერდა : ,,პრობლემის არსი, რომელმაც თავი იჩინა ადამიანის ევოლუციის თანამედროვე ეტაპზე, მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები ვერ ასწრებენ კულტურის ადაპტირებას იმ ცვლილებების შესაბამისად, რომელიც მათ მიერვე არის ინიცირებული. ამ კრიზისის მიზეზი ადამიანის შინაგან ბუნებაშია. ამიტომ ყველა ამ პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის შინაგანი მრწამსის შეცვლის შედეგად. საზოგადოებამ უნდა შეიგნოს თანამედროვე ეკოლოგიური კრიზისის საშიშროება და არსებითად შეცვალოს ბუნებისადმი თავისი მტაცებლური დამოკიდებულება.“

თანამედროვე მსოფლიო პრობლემატიკა გლობალური ხასიათისაა და ვერ გადაწყდება ცალკეული,თუნდაც უძლიერესი ქვეყნების დამოუკიდებული ძალისხმევით.“ დედამიწაზე სიცოცხლის გაქრობის და პლანეტის დაღუპვის მოახლოებული საშიშროების წინაშე დამდგარ კაცობრიობას ერთადერთი გზა აქვს დარჩენილი -გაერთიანება, ამბიციების უარყოფა, ძალაუფლებისა და განუსაზღვრელი გამდიდრების სურვილის დაძლევა,- ხაზგასმულია რომის კლუბის მოხსენებებში ,, The first global revolution” (A.King and B. Schneider), “The scandal and the shame” (Bertrand Schneider)” და სხვ. ადამიანის ფიზიკური გადარჩენა რომის კლუბის მესვეურებმა ადამიანის სულიერების რადიკალურ ცვლილებას დაუკავშირა.

რომის კლუბის მოხსენებებმა მსოფლიოში პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკოსების, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მხარდაჭერა და მოწონება დაიმსახურა, იმის მიუხედავად, რომ ყველამ არ გაიზიარა მათ მიერ შემუშავებული პესიმისტური სცენარი, რომის კლუბის მოხსენებები კაცობრიობის სულიერ ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. მათ შეცვალეს მსოფლიო აზროვნება და სტიმული მისცეს ახალ პოლიტიკურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ძვრებს, დასახეს განვითარების ახალი ტრენდი.

მსოფლიოში შექმნილმა მძიმე ეკოლოგიურმა და სოციალურმა ვითარებამ , ადამიანის ბუნებისადმი მომხმარებლურმა დამოკიდებულებამ განაპირობა ახალი კომპლექსური საგნის , მეტამეცნიერების - ეკოლოგიური ეთიკის განვითარება,რომელიც განსაზღვრავს ადამიანის და ბუნების მორალურ ურთიერთობას, ზნეობრივ პრინციპებს , ნორმებს და ქმედებებს. ეკოლოგიური ეთიკა საზოგადოებრივი შეგნების ფორმაა და დაფუძნებულია ეკოლოგიის და კლასიკური ეთიკის ძირითად პრინციპებზე.

ტერმინი ,,ეკოლოგია“ სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა გერმანელმა მეცნიერმა ბიოლოგმა ერნსტ ჰეკელმა (1834-1919), ბიოლოგიის ერთ-ერთ განშტოების აღსანიშნავად. დროთა განმავლობაში ეკოლოგიის ინტერესები გასცდა ბიოლოგიური მეცნიერების ჩარჩოებს, მიიღო კომპლექსური სახე და ასახვა ჰპოვა თანამედროვე ცნებებში და ტერმინებში: გლობალური ეკოლოგია,ადამიანის ეკოლოგია,სოციალური ეკოლოგია,საინჟინრო ეკოლოგია,კულტურის ეკოლოგია, ცნობიერების ეკოლოგია, ადამიანის ეკოლოგია,ისტორიის ეკოლოგია, რელიგიის ეკოლოგია , სულირების ეკოლოგია , ეკოლოგიური ეთნოგრაფია და სხვა.

ტერმინი ,, ეთიკა“ პირველად თავის შრომებში გამოიყენა დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ, რომელიც თვლიდა ,რომ ეთიკის მიზანია ადამიანის ქმედება და არა ცოდნა. ის იზიარებდა ანტროპოცენტრისტულ აზრებს, რომლებიც არ შეესაბამება ეკოეთიკის ნორმებს.

ეთიკის გამოყოფა როგორც ფილოსოფიის განსაკუთრებული კატეგორიის დაკავშირებულია სოფისტების მოძღვრებასთან (Vს წ.ა). კლასიკური ეთიკა, ეკოლოგიური ეთიკისაგან განსხვავებით, ჩამოყალიბებული ფილოსოფიური მოძღვრებაა მორალური და ზნეობრივი ფასეულობების და ნორმების შესახებ. ეკოლოგიური ეთიკა ჯერ განვითარების და ჩამოყალიბების პროცესშია და თანდათან იხვეწება,ზუსტდება ადამიანის მოღვაწეობის კონკრეტულ სფეროებთან დაკავშირებით (ბიოსამედიცნო, მეტყევეობა, აგრარული, საინჟინრო ტექნოლოგიები, გენური ინჟინერია, ტურიზმის ეთიკა) . ეკოეთიკის სფეროა აგრეთვე კოსმოსური სივრცის ათვისების , მტკნარი წყლის გამოყენების და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ეთიკური პრობლემები. საზოგადოებრივი ფორმაციის ცვლასთან და შესაბამისად სულიერ და კულტურულ განვითარებასთან ერთად იცვლებოდა ეთიკური შეხედულებებიც, რაც გამოიხატა სხვადასხვა მსოფლმხედველობაში. პირველი ფილოსოფიური შეხედულებები ჩამოყალიბდა ბუნებაზე ფიქრის საფუძველზე. ადანიანის ბუნებისადმი დამოკიდებულების ამ პერიოდს ცნობილი ეკოლოგი ვლ.ბორეიკო (2005წ) საკულტო ურთიერთობის ეტაპს უწოდებს. ადამიანის და ბუნების ურთიერთობის ამ ეტაპის ისტორია ასახულია მითებში, საკულტო რიტუალებში, ძველ ძეგლებში.
ისტორიულად მითოლოგია მსოფლმხედველობის პირველ ფორმას წარმოადგენს. პრიმიტიული მითოლოგია, ანუ პირველი მითები ,, ის ხატოვანი , პოეტური ენაა, რომლის საშუალებით ჩვენი წინაპრები ცდილობდნენ აეხსნათ ბუნების მოვლენები,

სამყაროს შექმნის, სიცოცხლის წარმოშობის საიდუმლოება“. ყველაფერ ხილულს-ცოცხალ არსებებს, მცენარეებს, ცხოველებს, მზეს , მთვარეს, მდინარეებს, ტყეებს, ვარსკვლავებს უძველესი ადამიანი აღიქვამდა როგორც ღვთაების ხილულ სახეს და თაყვანს სცემდა. ამრიგად, ეკოლოგიური ეთიკის ელემენტები აღინიშნება უკვე უძველეს ეპოქაში.

ეკოეთიკის პრინციპების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს ძველმა ბერძენმა მოღვაწეებმა. ანტიკურ საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი პითაგორე თვლიდა,რომ ადამიანის ცოცხალ ბუნებასთან დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება იმსჯელო მის ზნეობრივ მაჩვენებლებზე. საწინააღმდეგო აზრის იყო არისტოტელე, რომელიც ანტროპოცენტრულ შეხედულებებს იზიარებდა და ამართლებდა ნაკლებად გონივრების - ცხოველების და მცენარეების ექსპლოატაციის ყველა ფორმას. ბუნების კანონებში ფილოსოფოსები ეძიებდნენ მატერიალური და ცოცხალი სამყაროს აბსოლუტურ კანონს, ცხოვრების არსს. სიცოცხლის საწყისს ანაქსიმანდრე ხედავდა სამყაროს უსასრულობაში, უარყოფდა ღმერთების, ღვთაების არსებობას, თუმცა ის განსაკუთრებით თაყვანს სცემდა მზეს („ მე ამ ქვეყანას მოვევლინე, რომ ვიხილო მზე); ანაქსიმენი გამოყოფდა ჰაერს, ჰერაკლიტე თაყვანს სცემდა ცეცხლის სტიქიას. მას ანცვიფრებდა ის გარემოება, რომ ადამიანები უგულველყოფენ ზნეობრივ კანონებს,რათა დარწმუნებული არიან, რომ ისინი მსოფლიო პროცესების ერთადერთი განმკარგველებია, მაშინ როცა ადამიანი ბუნების მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. იგი თვლიდა , რომ სამყარო ყველასათვის ერთი და იგივეა, ის არ არის არავის მიერ შექმნილი და მუდმივად არსებობს. ძველი საბერძნეთის უდიდესი ფილოსოფოსი, ატომისტური თეორიის შემქმნელი დემოკრიტე ამტკიცებდა , რომ ამ ქვეყნად ყველაფერი არსებული ატომებისაგან შედგება, რომლებიც მუდმივად არსებობენ და შესაბამისად სამყაროც მუდმივად იარსებებს. ბუნებაში ყველა მოვლენა მკაცრად იმართება მიზეზობრიობის და ურთიერთშეპირობების კანონებით. უდიდესი მატერიალისტი ფილოსოფოსი ეპიკური (341-270 წ.ა.), როგორც დემოკრიტე იზიარებდა ათეისტური იდეოლოგიას და თვლიდა ,რომ სამყარო უსასრულოა და მუდმივი და არ იმართება ღმერთით, რელიგიას კი დამამშვიდებელი ფუნქცია აკისრია. სხვა იდეოლოგიას იზიარებდნენ კინიკური (სოკრატული) ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლები (ანტისთენე, პლატონი,დიოგენე და სხვ.), რომლებმაც გამოაცხადეს თავის დევიზად „ ბუნებასთან დაბრუნება.“

კინიკების ფილოსოფიური სკოლა მიჩნეულია როგორც უძველესი „მწვანეთა პარტია“.

კინიკები მხარს უჭერდნენ ცხოვრების უბრალო, კეთილგონივრულ, არამატერიალურ ცხოვრების წესს და უგულველყოფდნენ მიღებულ ზნეობრივ ნორმებს. დროთა განმავლობაში მკვიდრდება ადამიანის უპირატესობა ბუნების წინაშე. ამ პროცესმა თავისი გამოვლინება ჰპოვა ,,ახალი დროის ფილოსოფიაში", საზოგადოების პირველი ტექნოკრატიული მოდელის შემქმნელის ფრენსის ბეკონის შრომებში (,,ახალი ორგანონი" , ,,ახალი ატლანტიდა").

შუა საუკუნეები გამოირჩეოდა რელიგიური მოღვაწეების მიერ ბიოეთიკის იდეების დამკვიდრებით. ისინი ყველა ცოცხალ არსებას აღიქვამდნენ, როგორც ,,ღვთის ქმნილებას", რომელსაც მოფრთხილება და დაცვა სჭირდება . განსაკუთრებული ღვაწლი ამ საკითხში მიუძღვის გამოჩენილ რელიგიურ მოღვაწეს, ღვთისმეტყველს, ფრანცისკანელთა ორდენის დამაარსებელს, კათოლიკე წმინდანს ფრანცისკე ასიზელს(1182-1226) , რომელიც 1979 წელს რომის პაპმა იოანე-პავლე II ეკოლოგების ციურ მფარველად გამოაცხადა. თავისი მოსაზრებები ფრანცისკე ასიზელმა პოეტურ ნაწარმოებში, ჰიმნში ,,სიმღერა მზეს" განავითარა. ის ქადაგებდა სიყვარულს ,,ჩვენს პატარა ძმებისადმი",იცავდა მათ უფლებებს, როგორც ცოცხალ არსებათა თანასაზოგადოების სრულუფლებიან წევრებისა. ლეგენდების თანახმად ფრანცისკე ასიზელი ესაუბრებოდა ცოცხალი ბუნების წარმომადგენლებს - ფრინველებს, სხვადასხვა ცხოველებს, მზეს, ქარს და ასე შემდეგ, აღუთქვამდა მათ სიყვარულს და პატივისცემას და ისინიც გაგებით ეკიდებოდნენ მის ქადაგებას და სიყვარულითვე პასუხობდნენ მას. ფრანცისკე ასიზელის გავლენა საუკუნეების მანძილზე ძალიან დიდი იყო . 1931 წელს ცხოველთა დღისადმი მიძღვნილ შეკრებაზე დაწესდა ცხოველთა საერთაშორისო დღე 4 ოქტომბერს, ფრანცისკე ასიზელის გარდაცვალების დღეს, მის საპატივსაცემოდ და სახელის უკვდავსაყოფად. ფრანცისკე ასიზელის მიმდევრები 21-ე საუკუნეშიც მრავლად არიან. მისი ეთიკურ შეხედულებებს იზიარებს რომის პაპი ფრანცისკე 1, რომელმაც თავისი სახელი მის საპატივსაცემოდ აირჩია.

ცოცხალი არსებების უფლებებს აღიარებდა ფრანგი მოაზროვნე მ.მონტელი: ,,ჩვენ არც მეტი, არც ნაკლები ვართ იმათზე, ვინც ამ ცის ქვეშ ცოცხლობს".

ანტროპოცენტრისტული იდეების გამომხატველი , გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი, მეცნიერი,მათემატიკოსი, საქვეყნოდ ცნობილი დებულების ,, მე ვაზროვნებ, მაშასადმე , ვარსებობ" (,,cogito,ergo,sum"), რენე დეკარტი (1596-1) საწინააღმდეგოს იზიარებდა. იგი უარყოფდა ადამიანის ზნეობრივი

პასუხისმგებლობას სიცოცხლის და ცოცხალი არსებების მიმართ. კატეგორიულად უარყოფდა ამ იდეებს ფრანგი ფილოსოფოსი ჰ.მორი. მე-18 საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე, ჰუმანისტი,განმანათლებელი ფრ. ვოლტერი აკრიტიკებდა დეკარტს და მის მიმდევრებს. მას ეთანხმებოდა მეორე ფრანგი განმანათლებელი ჟ.ჟ.რუსო. ცხოველთა უფლებებს იცავდა ბუდა (6-5 ძვ.წ), რომელიც თავის ქადაგებებში მოუწოდებდა კეთილგანწყობისაკენ ყველა ცოცხალ ორგანიზმების მიმართ.

ინგლისელი თეოლოგი ხ.პრიმატი,თომას მორი, მიშელ მონტენი,მოხამედი, ერაზმ როტერდამელი, შექსპირი,ბერნსი, ბენტანი, ბაირონი, შელი,ლ.ტოლსტოი, და კიდევ მრავალი გამოჩენილი ადამიანი იცავდა ცოცხალი არსებების უფლებებს.

ვაჟა ფშაველა ბუნებას ანიჭებდა პრიორიტეტს, თვლიდა, რომ ადამიანი კი არა, ბუნებაა მთავარი (,,ბუნება ბრძანებელია, იგივ მონაა თვისა“, ,, ნისლი ფიქრია მთისა“ და კიდევ სხვა. ვაჟა ფშაველა).

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ლორდმა ერსკინმა ლორდთა პალატის სხდომაზე 1809 წელს განაცხადა , რომ ცხოველების მიმართ თანაგრძნობის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტად კეთილი გული და სწორი აღზრდა. 1824 წელს რიჩარდ მარტინის ხელშეწყობით ინგლისში დაარსდა ,,ცხოველთა დაცვის ,, პირველი საზოგადოება , მოგვიანებით ასეთივე საზოგადოებები დაარსდა გერმანიაში, აშშ-ში, შვედეთში და ნორვეგიაში. 1896 წლისათვის მსოფლიოში ჩატარდა რამდენიმე საერთაშორისო კონგრესი ბიოეთიკის დარგში. ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეკოლოგიური ეთიკის იდეების და პრინციპების ჩამოყალიბება-განვითარებაში და პრაქტიკულ განხორციელებაში. ბევრ ქვეყანაში დაწესდა შეზღუდვები ნადირობაზე, თევზის რეწვაზე(ზუთხის რეწვა კასპიის ზღვაში), მშენებლობაზე (ბალატონის ტბაზე და სხვ.). 1985 წელს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ,,ეკოლოგიური ეთიკა და მზის სისტემა“,რომელმაც ბიძგი მისცა ეკოეთიკის ახალი მიმართულების განვითარებას. შეიქმნა ნაკრძალების ქსელი, გაიხსნა ცხოველთა თავშესაფრები. გერმანიაში პირველად მსოფლიოში შეიქმნა გადაგდებულ საშინაო მცენარეების თავშესაფარი. ბარსელონაში 2004 წელს აიკრძალა კორიდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკოლოგიური ეთიკის განვითარებაში ეკოლოგიური თეოლოგიის მოსაზრებებს , მსოფლიო ხალხების ეკოლოგიურ ტრადიციებს. ბიოეთიკის პრინციპების აღიარებამ საფუძველი ჩაუყარა ეკოლოგიური ეთიკის ფილოსოფიური კონცეფციის ჩამოყალიბებას .
ეკოლოგიური ეთიკის ფუძემდებლად აღიარებული არიან ამერიკელი ეკოლოგი და

გარემოს დამცველი ოლდო ლეოპოლდი (1887-1948)) და გერმანელი ექიმი, ფილოსოფოსი, ეკოლოგი, მუსიკოსი, და კულტუროლოგი ალბერტ შვეიცერი(1875-1965).

ოლდო ლეოპოლდი იყო აშშ-ს ეკოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი და,,ველური ბუნების საზოგადოების" ერთ-ერთი დამაარსებელი . მან ბევრად გაუსწრო თავის დროს და, სამწუხაროდ, მისი შეხედულებები და მოსაზრებები თანამედროვეების მიერ არ იყო აღთქმული მის სიცოცხლეში .ხოლო გარდაცვალების შემდეგ იგი აღიარეს ეკოლოგიური ესთეტიკის და ეთიკის დამფუძნებლად. ლეოპოლდის კლასიკური ნაშრომში (ესეების კრებული) ,,ქვიშიანი საგრაფოს კლენდარი" გაშუქებულია ეკოლოგიური ეთიკის და გარემოსდაცვითი ესთეტიკის ზოგადი დებულებები . წიგნი დაიბეჭდა 1949 წ მისი გარდაცვალების შემდეგ და საყოველთაო აღიარება მოიპოვა . ნაშრომი გამოაცხადეს ,,ამერიკის გარემოს დაცვის წმინდა მანუსკრიპტად. ლეოპოლდის ეთიკა ძირითადად ბიოეთიკის დებულებებზეა დაფუძნებული. მან განავითარა მოსაზრება,რომ ბიოლოგიური სახეობები საყურადღებოა არა მხხოლოდ სარგებლიანობის და ესთეტიკური მოსაზრებების , არამედ თვითმყოფადობის, საკუთარი ისტორიის და ფასეულობის გამო. ხელოვნური ჩარევა და მათი სტრუქტურის შეცვლა, უცხო ელემენტების შეტანა, მიუღებელია. მის ნაშრომთა მეორე კრებულში ,,წრიული მდინარე"(1953წ) განხილულია ეკოლოგიური ეთიკის კონკრეტული საკითხები. ეკოლოგიურ ეთიკას ლეოპოლდმა ,,დედამიწის ეთიკა" უწოდა. მან გაილაშქრა ბუნებისადმი მომხარებლური, მტაცებლური მიდგომის წინააღმდეგ და მიანიშნებდა ცოცხალი ბუნების ესთეტიკურ და ეთიკურ ღირებულებაზე. ,,გარემოს , დედამიწის დაცვა არ არის სუფთა ეკონომიკური პრობლემა,- წერდა ოლდო ლეოპოლდი. საკითხის განხილვისას ეძიეთ არა მხოლოდ ეკონომიკური სარგებელი, არამედ ისიც, რაც მისაღებია ეთიკური და ესთეტიკური თვალსაზრისით". ლეოპოლდის მიხედვით ეთიკა ეკოლოგიური მნიშვნელობით არის ადამიანის ქმედებათა შეზღუდვა არსებობისათვის ბრძოლის პროცესში.

გამოჩენილმა გერმანელმა მოაზროვნემ, ექიმმა,მუსიკათმცოდნემ და პროტესტანტმა თეოლოგმა ალბერტ შვეიცერმა თავის ნაშრომებში ,,კულტურა და ეთიკა" (1923წ), ,,სწავლება გარემოსდაცვითი მორალის შესახებ" ჩამოაყალბა ე.წ. უნივერსალური ეთიკის ძირითადი პრინციპები. იგი იზიარებდა ი.კანტის მოსაზრებას, რომ კულტურის მამოძრავებელი ძალა ზნეობაა, და არა გეგელის ,,მსოფლიო გონი".

ეკოლოგიური ეთიკის პრინციპები, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე სწავლებას, შვეიცერმა ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში ,,მოკრძალება სიცოცხლის მიმართ“ ჩამოაყალიბა. ამ ფილოსოფიური დოქტრინის ამოსავალი წერტილია ჰუმანური დამოკიდებულება ცოცხალ არსებათა მიმართ, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა. ლეოპოლდისაგან განსხვავებით შვეიცერი თვლიდა, რომ ადამიანი მოკრძალებას უნდა განიცდიდეს ყველა ცოცხალი არსების მიმართ და ხაზგასმით აღნიშნავდა,რომ ეკოლოგიური ეთიკა გულისხმობს პასუხისმგებლობას ყველა ცოცხალი არსების - მცენარეების და ცხოველების მიმართ, რომლებიც ეკოლოგიურ თანასაზოგადოებებს შეადგენენ და აქვთ არსებობის თანაბარი უფლება.

ალბერტ აინშტეინმა შვეიცერს ,,საუკუნის პიროვნება“ უწოდა. 1952 წელს ალბერტ შვეიცერს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა.

ნორვეგიელ ფილოსოფოსმა არნე ნესსმა(1912-2009) 1950 წელს გამოაქვეყნა მის მიერ შემუშავებული ბიოცენტრიზმის ფილოსოფიური დოქტრინა, რომლის შემადგენელ ნაწილს ,,სიღრმისეული ეკოლოგიის“ რვა ძირითადი პრინციპი წარმოადგენდა. მან მოახდინა ორი მეცნიერების - ფილოსოფიის და ეკოლოგიის იდეების კონვერგენცია და დაიმსახურა თანამედროვე ეკოლოგების აღიარება. ტერმინი ,,სიღრმისეული ეკოლოგია“ ნესსმა პირველად გამოიყენა თავის სტატიაში , სახელწოდებით ,,The shallow and the deep, long-range ecological movements” (,,ზედაპირული და სიღრმისეული პერსპექტიული ეკოლოგიური მოძრაობები“,1973). ახალი ეთიკურ-ეკოლოგიური მიმართულება ,, სიღრმისეული ეკოლოგია“ უარყოფს ადამიანის განსაკუთრებულ ფასეულობას და თვლის, რომ ბიოსფეროს ნებისმიერი თანასაზოგადოება ერთნაირად ფასეულია თავის სარგებლიანობის თუ არასარგებლიანობის მიუხედავად. ბიოცენტრული თანასწორობა გულისხმობს ბიოსფეროს ყველა ელემენტების სიცოცხლის და გამრავლების თანაბარ უფლებებს.

70-ან წლებში ცნობილმა მეცნიერმა პროფ. ა.გილიაროვმა1976 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ,,ადამიანი და ცხოველები: ურთიერთობის ეთიკა“ პირველად საბჭოთა ლიტერატურაში ჩამოაყალიბა ეკოლოგიური ეთიკის ძირითადი დებულებანი. 1988 წელს სსრკ-ში შეიქმნა ცხოველთა დაცვის პირველი საკავშირო საზოგადოება, რომელიც 1990წელს გაწევრიანდა ,, ცხოველთა დაცვის საერთაშორისო საზოგადოებაში“. 1991წელს მოსკოვის სახ. უნივერსიტეტში შემოღებული იყო ბიოეთიკის სასწავლო კურსი.

1975 წელს ჟურნალ ,,ეთიკაში“ ცობილმა საზოგადო მოღვაწემ, ფილოსოფოსმა ხ.როსტონ 111 გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით ,,ეს არის ეკოეთიკა“?. როსტონ 111-ის და ბუნებისდაცვითი ფილოსოფიის ასოციაციის ინიციატივით 1990 წელს დაარსდა ,,ეკოეთიკის საერთაშორისო საზოგადოება“, რომელიც მართავს კონფერენციებს , გამოსცემს ლიტერატურას ეკოეთიკის დარგში, აქტიურად არის ჩართული ეკოლოგიური ეთიკის განვითარებაში. ცნობილმა ამერიკელმა ფილოსოფოსმა იუჯინ ხარგროუვმა 1979 წელს დაარსა ჟურნალი ,,ეკოლოგიური ეთიკა“ (,,Environmental ethics'), 1992 ინგლისში გამოდის ჟურნალი ,,ეკოლოგიური ფასეულობანი“ (,,Environmental values"), გერმანიაში პოპულარობით სარგებლობს ჟურნალი ,,ეკოლოგია და ეთიკა“ (,,Okologie und ethic"), ეკოფილოსოფია (,,Ecophilosophy"), ჟურნალი ,,სასოფლო-სამეურნეო და ეკოლოგიური ეთიკა“ (,,Journal of agricultural and environmental ethics") და სხვ.

1977წ ლონდონში ,,ცხოველთა უფლებების საერთაშორისო ლიგის“ შეკრებაზე მიღებული იყო,,ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია“ და ერთი წლის შემდეგ დამტკიცებული იყო იუნესკოს მიერ პარიზში. დეკლარაციაში აღნიშნულია ბიოლოგიური ფორმების თანასწორობა და არსებობის უფლება.

სტრასბურგში 1987 წ. დამტკიცდა ,,შინაურ ცხოველთა დაცვის ევროპული კონვენცია“, რომელიც შეიცავს დებულებებს შინაურ ცხოველების შენახვის,მოვლა-პატრონომის და ცხოველებით ვაჭრობის შესახებ.

1982წ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოცხადებული იყო ბუნების საერთაშორისო ქარტია, რომლის მიხედვით ,, სიცოცხლის ნებისმიერი ფორმა იმსახურებს პატივისცემას იმისაგან დამოუკიდებლად თუ როგორი სარგებელი მოაქვს მას ადამიანისათვის... ადამიანი ყველა ცოცხალ არსებებთან დამოკიდებულებაში უნდა ხელმძღვანელობდეს ზნეობრივი კოდექსით.“ 2000 წელს მიღებულ ,,დედამიწის დეკლარაციაშიც“ ანლოგიური მოთხოვნაა ჩადებული. ბიოეთიკის პრინციპების აღიარებამ საფუძველი ჩაუყარა ეკოლოგიური ეთიკის მეცნიერულ პრინციპების და ფილოსოფიური კონცეფციის განვითარებას.

2004-2005 წლებში იუნესკოს კომისიის მიერ დამუშავებულ ი იყო ,,ბიოეთიკა და ადამიანის უფლებების დეკლარაცია“, დადგენილი იყო ეკოლოგიური ეთიკის ძირითადი პრინციპები , ადამიანის და გარემოს ურთიერთობის , მისი პირობების და

შედეგების ნორმატიული პარამეტრები. ბიოეთიკის საკითხებს გაეროში განაგებს სპეციალური კომიტეტი. ეკოეთიკის საერთაშორისო. ცენტრს აქვს თავისი საიტი.

1970 წლიდან ეკოლოგიური ეთიკა აღიარეს დამოუკიდბელ დისციპლინად,ხოლო 1971 წლიდან ეკოლოგიური ეთიკის კურსი იკითხება ვისკონსინის უნივერსიტეტში(აშშ), ინგლისში, ავსტრალიაში,კანადაში, გერმანიაში, საფრანგეთში,უკრაინაში, რუსეთში. ეკოლოგიური ეთიკის იდეების დახვეწაში და განვითარებაში ჩართულია თვალსაჩინო მეცნიერები, ფილოსოფოსები (ხ. როსტონ 111, იუჯინ ხარგროუვი, ბეარდ კალიკოტი და სხვა). აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით მრავალი სპეციალისტი მთელ მსოფლიოში. ახლო მეზობლებიდან, ყოფილი სსრკ-დან, აღსანიშნავია კიევის კულტურულ-ეკოლოგიური ცენტრი (ვლ.ბორეიკო), რუსეთი (ნ. მოისეევი, ნიკიტინი ვ. ალექსეევი, კრასინკინი, და სხვ .). ვლ.ბორეიკო აღნიშნავს, რომ ეკოლოგიური ეთიკის პრინციპების დაცვა თანამედროვე გარემოსდაცვით საქმიანობაში უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ,, გარემოს დაცვის პროცესში იცვლება ადამიანის როლი, რის შედეგად ის გარდაიქმნება ბუნების დამყრობლიდან ჰარმონიულ თანასაზოგადოების სრულყოფილ წევრად.“

ინგლისელი ფილოსოფოსი ჯ.ლოკი იკვლევდა ადამიანის შემეცნებითი უნარს და განათლების როლს საზოგადოებაში ეთიკის ნორმების დამკვიდრებაში. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში თავის ნაშრომში ,,მოსაზრება განათლების შესახებ“ წერდა, რომ ეთიკური ჩვევები და დამოკიდულება ცოცხალი სამყაროს მიმართ ადამიანს ბავშვობიდან უნდა გამოუმუშავდეს. ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით ამ მოსაზრებას და ვთვლით , რომ ეკოლოგიური ეთიკის პრინციპებს როგორც ზოგადად ნებისმიერ ეთიკას , ადამიანი უნდა ეზიაროს ახალგაზრდობიდან. საზოგადოებამ უნდა შეიგნოს თანამედროვე ეკოლოგიური კრიზისის საშიშროება და არსებითად შეცვალოს ბუნებისადმი თავის მტაცებლური დამოკიდებულება და ეს უნდა დაიწყოს ახალგაზრდა ასაკიდან. ამ გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას რომის კლუბის მესვეურები და ეკოლოგიური ეთიკის დარგში მომუშავე მოღვაწეები, ფილოსოფოსები და ეკოლოგები. დასავლეთში მნიშვნელოვან როლს ამ მიმართულებითი ასრულებენ სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები.
ბუნება ყოველთვის ახდენდა ადამიანზე სულიერ ზემოქმედებას , იყო ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის და მშვენიერების აღქმის საშუალება. მსოფლიო იცვლის თავის განვითარების პარადიგმას და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ახალ გამოწვევებისათვის.

ვფიქრობთ, რომ საქართველოშიც მომწიფდა სიტუაცია,როდესაც აუცილებელია შემოღებული იყოს ეკოლოგიური ეთიკის სწავლების კურსი და დაიწყოს მუშაობა ამ მიმართულებით როგორც სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში.

აბაშიძე მედეა †, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

აბაშიძე ელეონორა, ბიოლოგიის მეც.დოქტორი